№2731 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

სს „სილქნეტისთვის“ სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლისა და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატელეფონო კომუნიკაციის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების (კაბელის განთავსება გრუნტში) მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული, სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის, ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის განძის სატყეოს კვარტალ №1-ის ლიტერ №19 და №20-ში მდებარე 113,4 კვ.მ მიწის ფართობით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადა (ხე-მცენარეების ჭრის უფლების გარეშე) სს „სილქნეტს“ (ს/კ: 204566978) განესაზღვროს 20 (ოცი) წლით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**